

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N --

ქ.თბილისი, _____ 2017 წელი

ერთის მხრივ, სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა კობახიძის სახით

და

მეორეს მხრივ ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის -----
----- სახით,

შემსყიდველი და მიმწოდებელი ცალ-ცალკე მოხსენიებულნი არიან როგორც მხარე, ხოლო ერთობლივად როგორც მხარეები;

მხარეები ვმოქმედებთ რა, „სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“-სათვის საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის #6 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან ქ.ბორჯომში ისტორიული ელექტროსადგურის ტერიტორიაზე არსებული შენობის პროექტირების მომსახურების შესყიდვა.
- 1.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების და დანართი 1-ის (ტექნიკური დავალება) შესაბამისად.
- 1.3 შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ შემსყიდველი უხდის მიმწოდებელს სამუშაოს ღირებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 2.1 მიმწოდებელი ვალდებულია კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები.
- 2.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.
- 2.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით.
- 2.4 შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

3. სამუშაოს შესრულებისა და მიღება-ჩაბარების წესი

- 3.1 შემსყიდველი გადასცემს მიმწოდებელს დანართი 1-ში ჩამოთვლილ -----
- 3.2 მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულოს დანართი 1-ში ჩამოთვლილი ----- მიღებიდან --- კალენდარულ დღეში და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.
- 3.3 შესრულებულ სამუშაოზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, არაუგვიანეს შესაბამისი სამუშაოს შესრულებიდან ----- სამუშაო დღის განმავლობაში, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები.
- 3.4 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო სამუშაოს ჩაბარებაზე, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- 3.5 კონსულტანტთან ანგარიშსწორებისთვის ცალცალკე იქნება განსაზღვრული თითოეული ეტაპის ღირებულება და ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა მოხდება დამკვეთთან შეთანხმებით.
- 3.6 დამკვეთი უფლებას იტოვებს თითოეული ეტაპის შემდეგ აღარ განახორციელოს დარჩენილი ეტაპების შესყიდვა.

4. მომსახურების ხარისხი

- 4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებულ ფარგლებში.
- 4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

- 5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს ----
----- ლარს. აღნიშნული ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, რომელიც უკავშირდება სამუშაოს შესრულებას, მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
- 5.2 ანგარიშსწორების განსახორციელებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ა) მიღება-ჩაბარების აქტი; ბ) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
- 5.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს 5.2 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

6. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. სამუშაოს ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით, დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს --- (-----) სამუშაო დღისა აღმოფხვრას არსებული ნაკლი.
- 6.2 მხარეები მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. არაჯეროვანი სამუშაოს შესრულების შედეგად შემსყიდველისათვის ან/და მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
- 6.3 მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- 6.4 სამუშაოს შესრულების დაყოვნების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე 0.2%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.
- 6.5 შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე 0.2%-ის ოდენობით.
- 6.6 მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

7. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება

- 7.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).
- 7.2 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.
- 7.3 წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ
- 7.4 მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 8.1 ხელშეკრულების შესრულებაზე კონსტროლს შემსყიდველის მხრიდან ანხორციელებს შესყიდვების მენეჯერი – სოფიო გეგეშიძე, რომელიც წარმოადგენს სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

- 9.1 ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 9.2 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 9.2.1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.
- 9.4 ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის ----- ჩათვლით.
- 10.2 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს: მხარეთა შეთანხმებით, რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევისას ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. დავათა გადაწყვეტა

- 11.1 მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.
- 11.2 საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, მათ შორის: თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხი

განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დასკვნითი დებულებები

- 12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.
- 12.2 ხელშეკრულების ცალკეული მუხლის ან/და პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.
- 12.3 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
- 12.4 ხელშეკრულების არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

შპს საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების

შპს-----

ფონდი

ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. #8.

ქ.თბილისი-----

ს/კ 404391975

ს/კ-----

ს.ს. თიბისი ბანკი

ბ/კ TBCBGE22

ბ/კ-----

ა/ა GE02TB7377536080100001

ა/ა-----

მამუკა კობახიძე

დირექტორი

დირექტორი